პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 3 აპრილი, 1951 წ. № 78 (8932). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის — „პრავდის" 2-IV მოწინავე (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ი. ბ. სტალინის მისალმება კიროვის ქარხნის კოლექტივისადმი (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთექვსმეტე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).

მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).

ა. გინდინი — ხრამის ჰიდროელსადგურის შემქმნელნი (მე-2 გვერდი).

უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია უკეთ უნდა მუშაობდეს (მე-2 გვერდი).

ხუტა ბერულავა — დროს გაუსწრო... (მე-3 გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (მე-3 გვერდი).

თესვაში დაწინაურებული და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები (მე-3 გვერდი).

მეტი ყურადღება სანიტარული წესრიგის დაცვას (მე-3 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

იტალიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობისათვის (მე-4 გვერდი).

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ყველა ქვეყნის ხალხებს მიმართა მოწოდებით — გააფართოონ ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი ომის მზარდი საფრთხის წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ხალხებს მოუწოდა იბრძოლონ ხუთ დიდ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის. ეს მოწოდება, რომელიც მშვიდობისმოყვარე ხალხების ნებას გამოხატავს, გაისმა იმ დროს, როცა აგრესიული იმპერიალისტური ძალები აღვივებენ ომის ფსიქოზს, უფრო მეტ დაძაბულობას ქმნიან საერთაშორისო ვითარებაში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოთხოვნა მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და საბჭოს სხვა გადაწყვეტილებანი ყველა ქვეყნის ხალხებს გადაუდებელი მოქმედების პროგრამად მიაჩნიათ ახალი ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

საბჭოს გადაწყვეტილებებმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვეს ყველა ქვეყანაში. ყველგან გაჩაღდა კამპანია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ისტორიული დოკუმენტების განმარტებისათვის.

გამოთქვა რა მშვიდობისმოყვარე ჩინელი ხალხის ერთიანი ნება, მშვიდობის დაცვისა და ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის სახალხო კომიტეტმა განაცხადა, რომ მიმართვა მშვიდობის პაქტის დადების შესახებ და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სხვა გადაწყვეტილებანი „კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებებია, რომელთა მიზანია ომის თავიდან აცილება და მშვიდობის დაცვა. ეს ღონისძიებანი წარმოადგენენ პერსპექტივასა და მიზანს, რომლებიც მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის მისწრაფების საგანი იქნება მშვიდობისათვის მათს ბრძოლაში". „ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, — ნათქვამია განცხადებაში. — ხუთი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევა და მშვიდობის პაქტის დადება მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისაკენ მიმართული გადაუდებელი, აუცილებელი ღონისძიებებია".

მშვიდობის მომხრეთა სრულიად ინდოეთის კომიტეტის გადაწყვეტილებით ინდოეთში დაიწყო მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება. ინდოეთის ყველა უდიდეს ქალაქში: ბომბეიში, მადრასში, კოიმბატურში, დარობში — გაიმართა ხელმოწერის შეგროვებისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები. გაზეთი „სვადჰინატა" იუწყება, რომ კალკუტაში წარმატებით მიმდინარეობს ხელმოწერის შეგროვება.

ხელმოწერის შეგროვება დაიწყო ირანშიც. თეირანისა და სხვა ქალაქების ათეულ ათასობით მცხოვრებმა ხელი მოაწერა მოთხოვნას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. რანგუნში გამართული მასობრივი მიტინგის მონაწილეებმა ბირმის მთელ მოსახლეობას მიმართეს მოწოდებით მხარი დაუჭიროს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებებს და გააძლიეროს ბრძოლა ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული გეგმების წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებათა განხილვისადმი მიძღვნილი მშრომელთა ათასობით მასობრივი მიტინგი და კრება იმართება საფრანგეთში, იტალიაში, დასავლეთ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში. სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის, სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ადამიანები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ მშვიდობის პაქტის დადებისათვის.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის იტალიის კომიტეტის ამასწინანდელმა სხდომამ იტალიელ ხალხს მოუწოდა მოაწყოს მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მოთხოვნისათვის მხარდასაჭერად ხელმოწერის შეგროვების მასობრივი კამპანია. არ უნდა იყოს არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, არც ერთი საწარმო, დაწესებულება, სასწავლებელი, სახლი, ფერმა, ნათქვამია კომიტეტის მიმართვაში, სადაც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას არ იცნობდნენ, სადაც მამაკაცებისა და ქალებისათვის, რომლებსაც ომი არა სურთ, უცნობი იყოს ამ მიმართვით დასახული დიდი იმედი, რომლის განხორციელება შეუძლია მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს ავსტრიაში, სადაც პირველ რამდენიმე დღეში შეგროვებულია სამას ათასზე მეტი ხელმოწერა.

ერთსულოვნად უჭერენ რა მხარს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, მშვიდობისმოყვარე ხალხები აძლიერებენ ბრძოლას გერმანიისა და იაპონიის საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და აგრესიის არსენალად მისი გადაქცევა, რევანშისტული ფაშისტური არმიის აღდგენა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობის საქმისათვის. ევროპის ხალხები, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ გადაიტანეს ჰიტლერული ოკუპაციის საშინელებანი, ვერ დაეთანხმებიან გერმანიის იმპერიალიზმის აღდგენის ამერიკულ პოლიტიკას. სულ უფრო ფართო მასები მტკიცედ რწმუნდებიან, რომ ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, შეძლებენ თუ ვერა ხალხები ჩაშალონ ამერიკელი იმპერიალისტების დანაშაულებრივი გეგმები გერმანიაში.

ევროპის ხალხთა მტკიცე მისწრაფება იმისაკენ, რომ მიღწეულ იქნას გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა, ცხადყო გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო ევროპის მუშათა კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა ბერლინში.

ევროპის კონფერენცია თვალსაჩინო პოლიტიკური მოვლენა იყო. მან თვალნათლივ დაგვანახვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას მილიონობით მამაკაცისა და ქალისადმი იმის შესახებ, რომ გაერთიანდნენ და მძლავრი პროტესტი განაცხადონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს მრავალი მილიონი მშრომელი.

ევროპის 19 ქვეყნის საწარმოების მუშათა მიერ არჩეულმა კონფერენციის დელეგატებმა ევროპის მშრომელებს მოუწოდეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო მოძრაობაში, ამ ბრძოლისათვის გამოიყენონ ახლანდელ პირობებში შესაფერისი ყველა ფორმა: კრებების მოწყობა, ხელმოწერის შეგროვება, მოწოდებანი მთავრობებისადმი, ერთიანობის კომიტეტების შექმნა და სხვ.

ევროპის მუშათა კლასის წარმომადგენლებმა თავიანთ გადაწყვეტილებაში განაცხადეს, რომ ის ძალები, რომლებიც გერმანიის რემილიტარიზაციას ახორციელებენ, შეიძლება დამარცხებულ იქნან და კიდევაც დამარცხდებიან.

ევროპის მუშათა კონფერენციამ დაგვანახვა, რომ დღითიდღე მტკიცდება მშვიდობისათვის მებრძოლთა ერთიანობა, ძლიერდება მათი აქტივობა. მუშათა კლასის წარმომადგენლები ევროპის ხალხებს მოუწოდებენ თავიანთ ხელში აიღონ მშვიდობის დაცვის საქმე.

აზიაში ფართოვდება და ძლიერდება ხალხთა მასების მოძრაობა ომის ამერიკელ გამჩაღებელთა ოინების წინააღმდეგ, რომლებიც იაპონიის მილიტარიზმის აღორძინებას ცდილობენ. ჩინეთსა და იაპონიაში, ინდოეთსა და ინდონეზიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში — აზიის ყველა ქვეყანაში სულ უფრო მტკიცედ გაისმის ხალხთა ხმა, რომლებიც მოითხოვენ იაპონიის რემილიტარიზაციის შეწყვეტას და იაპონიასთან 1951 წელს ყოველმხრივი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას.

მილიონობით კეთილი ნების ადამიანი მტკიცედ ამხილებს ომის მოთავეთა მაქინაციებს, იმპერიალისტი აგრესორების დანაშაულებრივ კაცთმოძულეობით პროპაგანდას უპირისპირებს ფართო კამპანიას მშვიდობის შენარჩუნებისა და საყოველთაო უშიშროებისათვის.

ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანთა შთამაგონებელია დიადი მაგალითი საბჭოთა კავშირისა, რომელიც ურყევად ახორციელებს ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებულმა მშვიდობის დაცვის კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანების რწმენა მშვიდობის სამართლიანი საქმის გამარჯვებისადმი.

„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — თუ ხალხები მშვიდობის დაცვის საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას. ომი შეიძლება გარდუვალი გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები მოახერხებენ სიცრუის ქსელში გაეხვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

ამიტომ ფართო კამპანიას მშვიდობის დასაცავად, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მაქინაციების გამოაშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს".

იმპერიალისტი აგრესორების ოინების მხილებისათვის ფართო კამპანიის გაჩაღებით, თავისი რიგების უფრო მჭიდროდ დარაზმვით, ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხთა უფართოესი მასების ჩაბმით მშვიდობისათვის მებრძოლთა მრავალმილიონიანი არმია განახორციელებს თავის დიად ამოცანას — მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების ამოცანას.

„პრავდის" 2-IV მოწინავე

ქ. ლენინგრადი

კიროვის ქარხანა

ქარხნის დირექტორს ამხანაგ სმირნოვს
ქარხნის მთავარ ინჟინერს ამხანაგ ზახარინს
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგანიზატორს ამხანაგ სმირნოვს
საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ბოგდანოვს
საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირის ორგანიზატორს ამხანაგ კორსაკოვს

ვულოცავ და მივესალმები კიროვის (ყოფილი პუტილოვის) ქარხნის მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივს ქარხნის 150 წლისთავსა და ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძველესმა ქარხანამ — კიროვის ქარხანამ ისტორიული როლი შეასრულა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ქარხნის კოლექტივმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ქარხნის აღდგენასა და სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოების ათვისებაში.

გისურვებთ, ამხანაგო კიროველებო, შემდგომ წარმატებას თქვენს მუშაობაში პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესასრულებლად.

ი. სტალინი

მოსკოვის IX საქალაქო პარტიული კონფერენცია

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში 30 მარტს გაიხსნა მოსკოვის IX საქალაქო პარტიული კონფერენცია. კონფერენციის პრეზიდიუმში ირჩევენ 56 კაცს.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

კონფერენცია ირჩევს აგრეთვე სამანდატო, სარედაქციო კომისიებს, სამდივნოს და ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს: საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ანგარიში; სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში; საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის არჩევნები; სარევიზიო კომისიის არჩევნები.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. რუმიანცევს.

— მოსკოველი ბოლშევიკები, — ამბობს მომხსენებელი, — IX საქალაქო პარტიულ კონფერენციას შეეგებნენ როგორც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის უფრო გაზრდილი და განმტკიცებული საბრძოლო რაზმი, რომელიც მჭიდროდ დარაზმულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ჩვენი ხალხის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის მშობლიურ ამხანაგ სტალინის გარშემო! **(ხანგრძლივი ტაში).**

საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დაწვრილებითი ანალიზი.

სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლეონოვმა.

საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი.

(საქდესი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთექვსმეტე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთექვსმეტე ტომი.

თარგმანი შესრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

მეთექვსმეტე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებს, რომლებიც დაწერილია 1909 წლის სექტემბრიდან 1910 წლის დეკემბრამდე.

ტომის ძირითად შინაარსს შეადგენენ სტატიები და დოკუმენტები, რომლებიც აშუქებენ ბრძოლას პარტიისათვის, მისი რევოლუციური პრინციპებისათვის, ბრძოლას ოპორტუნიზმის ორი სახის წინააღმდეგ პარტიაში: ლიკვიდატორების — „პარტიის პირდაპირი მოწინააღმდეგეების" და ოტზოვისტების — „პარტიის ფარული მტრების" წინააღმდეგ, აგრეთვე შემარიგებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს აფარებდნენ როგორც პირველი, ისე მეორე ჯურის ოპორტუნისტებს.

ლიკვიდატორობის — პარტიაში ლიბერალური ბურჟუაზიის აგენტურის — წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილია ნაშრომები: „მხილებული ლიკვიდატორები", „ლიკვიდატორების ფანდები და ბოლშევიკების პარტიული ამოცანები", „გოლოს სოციალ-დემოკრატა" და ჩერევანინი", „ლიკვიდატორთა „გოლოსი" პარტიის წინააღმდეგ".

სტატიები: „ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ", „საუბარი პეტერბურგელ ბოლშევიკებთან", „სამარცხვინო ჩავარდნა", „ვპერიოდელთა" ფრაქციის შესახებ" მიმართულია ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის წინააღმდეგ.

ნაშრომში „პუბლიცისტის შენიშვნები" მოცემულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შეფასება, პლენუმზე ლიკვიდატორების, ტროცკისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ ბრძოლის დახასიათება.

სტატიები: „საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეთერთმეტე სესია", „კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე", „ორი სამყარო", „უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში" მიმართულია ევროპის მუშათა მოძრაობაში არსებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, II ინტერნაციონალის ბელადების გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

სტატიები „ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში", „რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ" მიძღვნილია 1905-1907 წლების რევოლუციის გამოცდილების შესწავლისადმი.

მეთექვსმეტე ტომში შეტანილია რვა დოკუმენტი, რომლებიც ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად იბეჭდება: „წერილი კაპრის სკოლის მსმენელებს", რომელიც ამჟღავნებს კაპრის სკოლის ანტიპარტიულ საქმიანობას; „იდეური რღვევისა და დაბნეულობის შესახებ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში"; „ვპერიოდის" ჯგუფის შესახებ"; „განცხადება „რაბოჩაია გაზეტას" გამოცემის შესახებ"; „ღია წერილი ყველა სოციალ-დემოკრატ პარტიელისადმი", რომელშიც გადმოცემულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდგომდროინდელი შინაპარტიული მდგომარეობა; ორი განცხადება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე. ეს დოკუმენტები, ისე როგორც მეთექვსმეტე ტომში მოთავსებულ ნაწარმოებთა უმრავლესობა, მიძღვნილია პარტიისათვის ბრძოლისადმი, ორ ფრონტზე ბრძოლისადმი.

ახლად შეტანილ სტატიებს შორის არის ლენინის დიდი ნაშრომი — „თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება", რომელიც დაწერილია 1910 წლის ზამთარს. მისი სრული ხელნაწერი დღემდე აღმოჩენილი არ არის. სტატიის დასასრული ხელმოწერით: ვ. ილინი, აგრეთვე I თავის დასასრული და II თავის დასაწყისი, რომლებიც 1932 წელს ნაშრომის გამოქვეყნების დროს აღმოჩენილი არ იყო, ამჟამად ნაპოვნია, ამიტომ I, II და VII თავები პირველად იბეჭდება მთლიანად. (საქდესი).



„გასული წლისათვის საქართველოს მრეწველობის ნაკეთობათა ნომენკლატურაში დიდი ადგილი დაიჭირა მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქციამ — საზღვაო მოწყობილობამ და სხვადასხვა რთულმა მანქანებმა. მთავარი კი ის არის, რომ 1950 წელს ჩვენ უკვე გამოვადნეთ და გავგლინეთ რამდენიმე ათეული ათასი ტონა ქართული საბჭოთა ფოლადი. უახლოეს ორ წელიწადში გამოვუშვებთ ქართულ თუჯსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველო გახდა მეტალურგიის ქვეყანა, რომ ჩვენი ინდუსტრიისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას ჩაეყარა ურყევი საფუძველი შავი მეტალურგიის მრეწველობის შექმნის სახით",—განაცხადა თბილისის ბერიას საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1951 წლის 14 თებერვალს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა. ჩვენ უკვე გვაქვს ქართული საბჭოთა ფოლადი. მალე გვექნება ქართული საბჭოთა თუჯიც. ჩვენ გვყავან ქართული ფოლადისა და თუჯის გამდნობის საუკეთესო ოსტატები, მაღალკვალიფიციური მეტალურგები, რომლებიც დაუფლებულნი არიან მეტალურგიული წარმოების რთულ ტექნიკას, უყვართ ეს საქმე და ანთებულნი არიან სურვილით ახალ-ახალი შრომითი მიღწევებით.

საქართველოს ინდუსტრიული ხიდის ... მშრომელები ამაყობენ მათი მოწინავე მეფოლადეებითა და მგლინავებით, ისეთი ადამიანებით, როგორიც არიან ვაჟა გოგიბერია, ზურაბ კვახაძე, გიორგი სიგუა, შალვა კუზაღიშვილი და მრავალი სხვა.

სურათზე: მარტენის საამქროს ხედი. აქ ხდება ქართული საბჭოთა ფოლადის გამოდნობა. შუაში ჩანს მარტენის ღუმელებში კაზმის ჩამტვირთავი მოძრავი დანადგარი. წინ — მოწინავე სტახანოველი მეფოლადე გიორგი სიგუა.

ფოტო ვლ. გიბმანისა

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

გროდნოს ოლქის ზელვენის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ;

აზერბაიჯანის სსრ ქ. გეოქჩაის № 2 სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ბიკოვის რაიონის კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ;

პოლტავის საოლქო რადიოკომიტეტის თანამშრომელთა კოლექტივმა;

ლატვიის სსრ ქ. დაუგავპილსის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კოლექტივმა;

მოსკოვის ოლქის ბალაშიხის რაიონის სამედიცინო მუშაკებმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ლოზნო-ალექსანდროვკის რაიონის კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ;

გომელის ოლქის როგაჩევის ბელორუსული საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

პოლოცკის ოლქის დრისენის რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ;

პენზის ოლქის ნიკოლო-პესტროვის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკებმა;

კალინინის ოლქის პოგორელოეს რაიონის ულიანოვკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

გომელის ოლქის ქ. რეჩიცის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

როვნოს ოლქის გოშჩანის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ;

კუიბიშევის ოლქის დუბოვო-უმეტის რაიონის კოლმეურნეებმა, მუშებმა და ინტელიგენციამ;

აზერბაიჯანის სსრ ბელოკანის რაიონის სარეწაო კომბინატის მუშაკთა კოლექტივმა;

სალსკის რაიონის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

ტამბოვის ოლქის მშრომელთა დეპუტატების რასკაზოვის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

კავშირგაბმულობის სამინისტროს ხერსონის საქალაქო კანტორის მუშათა კოლექტივმა;

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ტარბაგატაის აიმაკის მშრომელებმა;

თურქმენეთის სსრ ქ. ტაშაუზის მშრომელებმა;

სტალინგრადის ოლქის მედვედიცკოის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

ხარკოვის ოლქის ველიკო ბურლუკის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ვალკოვის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვე ჟიტიას" წევრებმა;

მოლდაველის სსრ კავშირგაბმულობის უნგენის რაიონული კანტორის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სამხრეთ ყაზახეთის ოლქის ყზილყუმის რაიონის მშრომელებმა;

ვოლინის ოლქის შაცკის რაიონის 17 ვერესნიას სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა;

საქართველოს სსრ ქ. ფოთის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

ყირიმის ოლქის ალუშტის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „პამიატ ილიჩას" წევრებმა;

თათრეთის ასსრ ქ. ჩისტოპოლის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

გორკის ოლქის კურმიშის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა;

სტალინგრადის ოლქის ვიაზოვკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის კეგიჩის რაიონის არტიომის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კურსკის ოლქის ბელოვის რაიონის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

პენზის ოლქის ტამალის რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟნი პახარის" წევრებმა;

პიატიგორსკის ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის აზოვის რაიონის სამომხმარებლო კავშირის ვაჭრობის მუშაკებმა;

ტამბოვის ოლქის რჟაქსის რაიონის კოლმეურნეობების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

ტამბოვის ოლქის რჟაქსის რაიონის კოლმეურნეობა „სტალის" წევრებმა;

რიგის აბანო-სამრეცხაოებისა და საპარიკმახერო მეურნეობის საქალაქო ტრესტის მუშაკებმა;

პოლტავის ოლქის გადიაჩის ინვალიდთა სახლის ინვალიდებმა და მომსახურე პერსონალმა;

სტალინოს ოლქის დაბა ხაცაპეტოვკის მუშა-მოსამსახურეებმა;

კრასნოდარის მხარის სევერსკის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის ცელინის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის ვესიოლის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზარიას" წევრებმა;

როსტოვის ოლქის დაბა კონსტანტინოვკის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ;

ტამბოვის საქალაქო კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ტამბოვის საოლქო კომუნალური ბანკის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

ჩკალოვის ოლქის ბუგურუსლანის სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოებამ;

კუიბიშევის ოლქის ისაკლის რაიონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის მეჩეტის რაიონის კოლმეურნეობა „ვოლნა რევოლუციის" წევრებმა;

როსტოვის ოლქის ნიკოლაევის რაიონის კოლმეურნეობა „ვოლნა რევოლუციის" წევრებმა;

კურსკის ოლქის გლუშკოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნი სევის" წევრებმა;

როსტოვის ოლქის რომანოვკის სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის კონსტანტინოვკის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის დანილოვის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრთა კრებამ;

ლენინგრადის საქალაქო სადეზინფექციო სადგურის მუშაკებმა;

არხანგელსკის სოციალური უზრუნველყოფის საოლქო განყოფილების მუშაკებმა;

სტალინგრადის ოლქის პერელაზოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ოსნოვას" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის კრივიძის რაიონის კოლმეურნეობა „სერპ ი მოლოტის" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის კრივიძის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის ორლოვსკაიას რაიონის ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

როსტოვის ოლქის ორლოვსკაიას რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

როსტოვის ოლქის ორლოვსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „დონსკოი ტრუჟენიკის" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის პერელაზოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნისტიჩესკი პუტის" წევრებმა;

კიროვის ოლქის ვიატსკო-პოლიანსკის რაიონის მშრომელთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებამ;

კალუგის ოლქის ქ. ჟიზდრისა და ჟიზდრის რაიონის მშრომელებმა;

ტიუმენის ოლქის პროკურატურის მუშაკებმა;

პენზის ოლქის კამენკის რაიონის კოლმეურნეობა „12 ლეტ ოკტიაბრიას" წევრებმა;

კრასნოდარის მხარის პაშკოვსკის რაიონის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ;

როსტოვის ოლქის ორლოვსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „მესამე ხუთწლედის" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის პერელაზოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „მოპრის" წევრებმა;

კურსკის ოლქის ბოლშე-ტროიცკის რაიონის კოლმეურნეობა „პამიატ ლენინას" წევრებმა;

პენზის ოლქის კამენკის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდაველის სსრ ვოლონტირის რაიონის მუშებმა, მოსამსახურეებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ;

კიევის სამამულო ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ქირურგიული ჰოსპიტლის სამედიცინო მუშაკთა კოლექტივმა;

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. გროზნოს ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა;

სარატოვის ოლქის ატკარის რაიონის მშრომელებმა.

(გაგრძელება იქნება)

დათესილია 81.632 ჰექტარი

მარტის უკანასკნელ ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა 36 ათას ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო კულტურები დათესეს. სულ 1 აპრილისათვის დათესილია 81.632 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 17,7 პროცენტით.

წითელწყაროს რაიონმა დავალება 109,3 პროცენტით შეასრულა, დათესა 10.234 ჰექტარი.

აფხაზეთში გეგმა შესრულებულია 3,2 პროცენტით, აჭარაში — 1,5, სამხრეთ ოსეთში — 16,6, კაჭრეთის რაიონში — 80,2, სიღნაღის — 71,9, თბილისის გარეუბნის — 66,9, საგარეჯოს — 63, წალკის — 41,1, ყვარლის — 39,9, გურჯაანის — 35,5, ასპინძის — 34, კასპის — 32,6, ქლუხორის — 30,8, თიანეთის — 29,7, ხაშურის — 27, ქარელის — 25,8, ახალციხის — 24,8, ახმეტის — 26,6, მარნეულის რაიონში — 25,2 პროცენტით.

შაქრის ჭარხლის თესვა

საქართველოს კოლმეურნეობებში წელს გეგმით 5.000 ჰექტარი შაქრის ჭარხალი უნდა დაითესოს. აქედან 1 აპრილისათვის უკვე დათესილია 4.515 ჰექტარი, გეგმის 90,3 პროცენტი.

დავალება მთლიანად შეასრულეს ხაშურისა და ქარელის რაიონებმა. სამხრეთ ოსეთში გეგმა შესრულებულია 81,3 პროცენტით, გორის რაიონში — 93,5, კასპის რაიონში — 67,5 პროცენტით.

მოწინავენი მზესუმზირას თესვაში

საქართველოს 12 რაიონიდან, სადაც კოლმეურნეობებში მზესუმზირა უნდა დაითესოს, დავალება წარმატებით შეასრულეს ახმეტის (130,7 პროცენტით), წითელწყაროს, მცხეთის, ყვარლის, საგარეჯოს, გურჯაანის, კაჭრეთის, სიღნაღის, თელავისა და ლაგოდეხის რაიონებმა. სულ რესპუბლიკაში დათესილია 17.086 ჰექტარი მზესუმზირა. გეგმა შესრულებულია 100,5 პროცენტით.

თბილისის გარეუბნის რაიონში მზესუმზირას თესვის გეგმის შესრულებას აკლია 5 ჰექტარი, თეთრი წყაროს რაიონში — 312 ჰექტარი.

საგაზაფხულოდ მოხნულია 167.850 ჰექტარი

1 აპრილისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში საგაზაფხულო კულტურების დასათესად მოხნული იყო 167.850 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 66,2 პროცენტით.

დავალება მთლიანად შესრულებულია წითელწყაროს, მარნეულის, გარდაბნის, მაიაკოვსკის, ვანის, წულუკიძის, სამტრედიის, წალენჯიხის, აბაშის, ბოლნისის, მცხეთის, ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის, ქარელის, ახალციხის რაიონებში და ფოთში.

აფხაზეთის კოლმეურნეობებში გეგმა 99,3 პროცენტით არის შესრულებული, აჭარის — 36,2, სამხრეთ ოსეთის — 30,8, წყალტუბოს რაიონის — 96,1, ჩხოროწყუს — 99,1, გეგეჭკორის — 96,4, ცხაკაიას — 97,9, გორის — 91,8, ქუთაისის — 82,5, ჩოხატაურის — 84, ხობის — 80, ზუგდიდის — 84, თელავის რაიონში — 82,8 პროცენტით და სხვ.

თბილისის გარეუბნის რაიონმა გეგმის გარეშე მოხნა 1.186 ჰექტარი, საგარეჯოს რაიონმა — 654 ჰექტარი.

უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია უკეთ უნდა მუშაობდეს

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვალიფიციური კადრების დიდმნიშვნელოვანი სამჭედლოა ჩვენს რესპუბლიკაში.

მომზადებული და ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდების აღზრდის საქმეს უნივერსიტეტში დაუღალავად ემსახურება მრავალი აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი, მასწავლებელი.

ყოველწლიურად ფართოვდება უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური ბაზა. უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა ლაბორატორიებისა და კაბინეტების რიცხვი, გადიდდა უნივერსიტეტის წიგნის ფონდი.

სტუდენტთა სწავლის კარგად მოწყობის საქმეში რექტორატს სერიოზულ დახმარებას უწევს უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც 4.400-მდე წევრს აერთიანებს. ეს მრავალრიცხოვანი არმია უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციასთან და რექტორატთან ერთად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა სტუდენტთა მეცნიერული ცოდნით შეიარაღებისათვის, მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მიმდინარე სასწავლო წლის ზამთრის საგამოცდო სესიამ ცხადყო, რომ უნივერსიტეტში აკადემიური წარმატება 93,6 პროცენტს უდრის. სტუდენტთა შორის 1.123 ფრიადოსანია, 1.514 — კარგოსანი. განსაკუთრებით კარგი აკადემიური წარმატება აქვთ ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და ქიმიის ფაკულტეტებს. კომკავშირელი აქტივისტები ნ. შველიძე, გ. სუპატაშვილი, ნ. მესხი, თ. ზუმბაძე, ც. კარბელაშვილი და სხვ. ფრიადზე სწავლას კარგად უთავსებენ საზოგადოებრივ მუშაობას.

სტუდენტები განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენენ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში, პოლიტიკურ ეკონომიაში აკადემიური წარმატების პროცენტი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა საგნებში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების ღრმად შესწავლის მიზნით უნივერსიტეტში სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები. 1950 წლის ოქტომბრიდან კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით წაკითხულია 100-მდე ლექცია-მოხსენება, მოეწყო 68 თეორიული კონფერენცია, ეწყობა ლექციათა ციკლი, თეორიული გასაუბრებანი. ლექციები წაკითხულ იქნა ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ლენინისა და სტალინის თანამეგობრობა", „სტალინური მოძღვრება ენის შესახებ", „აკადემიკოს პავლოვის მოძღვრება" და სხვ. სამეცნიერო კონფერენციები მოეწყო შემდეგ თემებზე: „ი. ბ. სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე", „კომკავშირის საბრძოლო გზა", „კომუნიზმის დიადი მშენებლობანი".

მაღალი აკადემიური წარმატების მიღწევასა და მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმად დაუფლებას აქ დიდად უწყობს ხელს სტუდენტთა სამეცნიერო, საზოგადოება და სამეცნიერო წრეები. ყოველწლიურად ეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, გამოდის სტუდენტთა ნაშრომების კრებულები და სხვ.

კომკავშირულ ორგანიზაციას თვალსაჩინო მიღწევები აქვს სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში. ყოველ აკადემიურ ჯგუფში მუშაობს აგიტატორი. სტუდენტ აგიტატორთა შორის 145 კომკავშირელია. სერიოზული ყურადღება ექცევა კულტურულ-მასობრივ მუშაობას. თვითმოქმედ წრეებში 293 სტუდენტია გაერთიანებული.

ჯანსაღი, ყოველმხრივ მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის ფიზიკურ წრთობას. სპორტი არც ერთ ქვეყანაში არ არის ისე პოპულარული, როგორც ჩვენში. სპორტული მუშაობის მოწყობის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატება აქვს უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციას. გადაჭარბებით არის შესრულებული 1950 წლის ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმა. ჩამოყალიბებულია 22 სპორტული სექცია, რომელიც 2.200-მდე კაცს აერთიანებს. ეწყობა შეჯიბრებები, ფიზკულტურული საღამოები. გაუმჯობესდა საშეფო და შინაკომკავშირული მუშაობა.

უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციას აქვს ნაკლოვანებანიც. კომკავშირის კომიტეტი და ზოგიერთი ფაკულტეტისა და კურსების ბიუროები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან სწავლაში კომკავშირელთა ავანგარდული როლისათვის. არიან ისეთი კომკავშირელებიც, რომლებიც სათანადოდ ვერ იყენებენ სწავლისათვის შექმნილ მდიდარ შესაძლებლობას, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ფლანგავს დროს. ამით უნდა აიხსნას, რომ 224 კომკავშირელს აკადემიური დავალიანება აქვს. ზოგიერთი კომკავშირელი ლექციებზე და სემინარების მეცადინეობაზე სისტემატურად არ ცხადდება. მიმდინარე წელს 22.433 საათი არის გაცდენილი. გაცდენათა დიდი ნაწილი გეოგრაფია-გეოლოგიისა და დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე მოდის. ჯერ კიდევ დაბალია ზოგიერთი სტუდენტის პოლიტიკური მომზადების დონე. მიუხედავად ამისა, კომკავშირის ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ლექცია-მოხსენებებს სტუდენტთა მცირე ნაწილი ესწრება. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტეს მიეწერება ის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის ეხვდებით სტუდენტისათვის შეუფერებელი ქცევის ცალკეულ ფაქტებს. კომკავშირის კომიტეტი არ აწარმოებს სათანადო აღმზრდელობით მუშაობას ასეთ სტუდენტებთან, არ ხდის მათ საქციელს სტუდენტთა მსჯელობის საგნად.

კომკავშირის კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებთან და ასპირანტებთან. ზოგიერთი მეცნიერი მუშაკი წლობით მუშაობს სადისერტაციო შრომაზე, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, მოისუსტებს შინაკომკავშირული მუშაობა. ყველა კრება არ ტარდება მომზადებულად, არ ხდება საინტერესო საკითხების განხილვა. კრებებზე საკითხების განხილვაში მონაწილეობას არ იღებს ბევრი კომკავშირელი. დადგენილება ხშირად ზერელე და არაკონკრეტულია. სისტემატურად არ ეწყობა დადგენილებათა შესრულების შემოწმება, არც კომკავშირელთა აღრიცხვის საქმეა სავსებით მოწესრიგებული.

• • •

მიმდინარე წლის 28 მარტს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტმა თავის მესამე პლენუმზე მოისმინა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის ამხ. გ. ჭანუყვაძის საანგარიშო მოხსენება. უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის საკითხზე მოსმენილ იქნა აგრეთვე კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივნის შ. ბერიანიძის თანამოხსენება.

მოხსენების გამო აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გაიმართა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნ. შველიძემ (ისტორიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი), შ. ხელაშვილმა (კომკავშირის თბილისის კომიტეტი), ე. მაღრაძემ (დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტი), ზ. თელიამ (კომკავშირის რაიკომის მდივანი), თ. ბადურაშვილმა (უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი), გ. ლებანიძემ (გაზეთ „მოლოდოი სტალინეცი"), რ. მიმინოშვილმა (სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება), ი. ნონეშვილმა, ნ. კეცხოველმა (უნივერსიტეტის რექტორი), ვ. კობახიძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ამხ. მ. მეგრელიშვილმა (კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი).

როგორც მომხსენებელი, ისე მოკამათეთა ერთი ნაწილი უმთავრესად ლაპარაკობდნენ იმ მუშაობაზე, რომელიც გასწია უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ. ისინი ერიდებოდნენ ნაკლოვანებათა დასახელებას, მოკამათეები უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზს მხოლოდ კომკავშირის ზემდგომი ორგანოების არაოპერატიულ დახმარებაში ხედავდნენ და არაფერი თქვეს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე.

ზოგიერთმა მოკამათემ სამართლიანად უსაყვედურა კომკავშირის თბილისის კომიტეტს და მის ზოგიერთ განყოფილებას, რომელთა დახმარება შემოწმებით ამოიწურება. კომკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები არ გამოდიან ლექცია-მოხსენებებით სტუდენტთა შორის, არ აწყობენ სტუდენტთა შემოქმედების განხილვას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ახლად დაწინაურებულ კადრებთან, ზოგჯერ ადგილებიდან სათანადო რეკომენდაციების მიუცემლად აწინაურებენ მუშაკებს და სხვ.

უნივერსიტეტის რექტორმა ნ. კეცხოველმა პლენუმის წინაშე საყურადღებო საკითხები დააყენა. მან ილაპარაკა საქართველოს დაშორებული რაიონებიდან ჩამოსულ სტუდენტებთან კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე, ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდობაში შრომის ჩვევების გამომუშავებაზე და სხვ.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ზამბახიძემ.

უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის პლენუმმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

მ. ვარდოსანიძე

სტალინური პრემიის ლაურეატები

ხრამის ჰიდროელსადგურის შემქმნელნი

1950 წლის 14 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა მთავრობის კომისიის აქტი ხრამის მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურის მიღებისა და სამრეწველო ამუშავების შესახებ. ხრამჰესს ჩვენი რესპუბლიკის ენერგომომარაგების ძირითადად გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ხრამჰესის აშენებამდე აგებული ყველა ჰიდროელექტროსადგური სეზონური ხასიათისაა. როდესაც მდინარეში წყლის დონე შემცირდება, ეს ჰიდროელექტროსადგურები ამის შესაბამისად ამცირებენ სიმძლავრეს. მდინარეებში წყლის სიმცირე ჩვეულებრივად ზამთრის პერიოდშია, ე. ი. მაშინ, როდესაც ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდდება, და სწორედ ამ დროს ამცირებენ ჰიდროელსადგურები ელექტროენერგიის გამომუშავებას. ამ მიზეზის გამო საქართველოს ენერგოსისტემის წლიური და სადღეღამისო რეგულირება წარმოადგენდა ჩვენი ენერგეტიკოსების მთავარ საზრუნავ ამოცანას.

ხრამის ჰიდროელექტროსადგური საქართველოს მთელი ენერგეტიკული სისტემის ძირითადი ჰიდრავლიკური რეგულატორია. მას აქვს მთელი წლისათვის საკმარისი მდინარის წყლის მარაგის დამტევი წყალსაცავი და უმაღლესი წნევა.

თავის დროზე დიდ ეჭვს იწვევდა ხრამჰესისათვის წყალსაცავის აგების შესაძლებლობა. გეოლოგიური ხასიათის მოსაზრებებით სპეციალისტები შიშს გამოთქვამდნენ, რომ წყალსაცავი ვერ შეინარჩუნებდა მთელი წლისათვის მდინარის დენით დაგროვილი წყლის მარაგს, ვინაიდან ეს წყალსაცავი მდებარეობდა ამონახეთქი ქანებით შექმნილ ტაფობში, რომელსაც აქა-იქ ჰქონდა ნაპრალები, მაშასადამე, წყლის „გასაპარავი" ადგილები. ხრამის ხეობის ქვემო უბნებში წყაროების სიხშირე და თვით წყალსაცავის უბანში ნიადაგქვეშა წყლების დაბალი დონე თითქოს ადასტურებდა ასეთ მოსაზრებას.

ხრამჰესის მშენებელთა მიერ გულდასმით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ და საწყალსაცავე ტაფობში მდინარის საცდელმა შეგუბებამ გაფანტა ყოველგვარი ეჭვი. 1946 წელს მდინარე ხრამი შეგუბებულ იქნა და წყალსაცავი აივსო. მთავრობის კომისიამ ამ წყალსაცავს მაღალი შეფასება მისცა: „წყალსაცავის ოთხი წლის ექსპლოატაციისა და ხრამის ჰიდროელექტროსადგურის ორი წლის მუშაობის გამოცდილებამ, — ნათქვამია ამ კომისიის მიერ შედგენილ აქტში, — გვიჩვენა, რომ წყალსაცავი სრულეფექტიანია და იძლევა მდინარე ხრამის დინების რეგულირების საშუალებას".

ეს წყალსაცავი კიდევ იმიტომ არის შესანიშნავი, რომ იძლევა ხრამის მარეგულირებელი კასკადის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას, ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხელსაყრელ პერსპექტივას.

თვითონ ხრამჰესის, როგორც სადგურის ტექნიკური ელემენტები, აგრეთვე ის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც მშენებლობა განხორციელდა, წარმოადგენენ სიახლეს, რომელიც ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის ისტორიაში პირველად აქ განხორციელდა და რომლის მსგავსიც არ მოიპოვება არც ჩვენი ქვეყნისა და არც უცხოეთის პრაქტიკაში.

განსაკუთრებულ რთულ გეოლოგიურ პირობებში მოუხდათ მშენებლებს ხრამჰესის კაშხალის აგება. კაშხალის ასაგებ ადგილად შერჩეულ იქნა მდინარე ხრამის ვიწრო ხეობა, რომელიც აგრეთვე ამონახეთქი ნაპრალებიანი ქანებისაგან შედგება. მშენებლებმა გულდასმით მოამზადეს ადგილი კაშხალის საფუძვლისა და კალთებისათვის, გაამაგრეს საკაშხალე ადგილი ბეტონის საცობებითა და საგანგებო კონსტრუქციის გვირაბებით, მოახდინეს ნაპრალების ცემენტაცია და ამით აღკვეთეს იმის შესაძლებლობა, რომ წყალს გაეღწია კაშხალში, ან ხეობის კალთების დაცურება ყოფილიყო მოსალოდნელი. ამ კაშხალზე საბჭოთა კავშირში პირველად გამოყენებულმა მიწაყრილისაგან აგებული კაშხალის საფარად უჟანგავი ფოლადის ეკრანის დაყენებამ კარგი შედეგი მოგვცა.

ხრამჰესის საწნეო გვირაბს, რომელიც საგრძნობლად დიდ მანძილზეა გაყვანილი და რომლის წნევაც 6,5 ატმოსფეროს უდრის, საბჭოთა კავშირში შესადარისი ნაგებობა ჯერჯერობით არ მოიპოვება. ეს გვირაბი მეტად რთული გეოლოგიური სტრუქტურის პირობებშია გაყვანილი. მშენებლებმა აქ პირველად გამოიყენეს რკინა-ბეტონით გვირაბის ოვალური მოყვანილობით მოპირკეთების ორიგინალური კონსტრუქციები და ბეტონის კეთების ისეთი მეთოდი, რომლითაც გათვალისწინებულია ბეტონის თანდათანობით შემკვრივება ერთი წლის მანძილზე. ამის შედეგად შემცირებულ იქნა რკინა-ბეტონის სამუშაოთა მოცულობა და გაადვილდა საწნეო-სადერივაციო გვირაბის გათხრა.

მეორე გვირაბის გათხრისას გამოყენებულ იქნა სამუშაოთა შესრულების ჩქაროსნული მეთოდი, რამაც მშენებლებს საშუალება მისცა ერთდროულად მოეხდინათ გვირაბის გაფართოება და დაბეტონება. ამის შედეგი იყო, რომ გვირაბის სანგრევი ხაზის წინწაწევამ საშუალოდ ყოველი სანგრევიდან დღეღამეში 6 გრძივ მეტრს მიაღწია. სატორკრეტო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებამ სრულიად აღკვეთა სადერივაციო გვირაბიდან წყლის ფილტრაცია, თუმცა ეს გვირაბიც ნაპრალიან ქანებს ჰკვეთავს და ამავე დროს წყალი მასში დიდი წნევით მიედინება. გვირაბის კედლების გულდასმით და სუფთად მოპირკეთებამ შექმნა ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებული სიმძლავრის საგრძნობლად გადიდების, ე. ი. ელექტროენერგიის გამომუშავების მკვეთრი ზრდის შესაძლებლობა.

ხრამჰესის საწნეო კვანძის დაპროექტებისა და შემდეგ აგებისას მრავალი უაღრესად სერიოზული მნიშვნელობის ტექნიკური ამოცანა გადაიჭრა. საჭირო გახდა მოგვეწყო საწნეო მილსადენი მეტად დიდი დაქანების ისეთ ადგილზე, რომლის სიღრმეშიც ჩაწოლილი იყო უძველესი წარმოშობის მეწყერი. ეს ამოცანა მშენებლებმა შემდეგნაირად გადაჭრეს: ამოიღეს ღრმა გამათანაბრებელი (130 მეტრი სიღრმისა) შახტი, რომელსაც გაუკეთეს ლითონის ქარქაში და რკინაბეტონის კედლები. ძველისძველ მეწყერს ქვემოდან გაუჭრეს გვირაბი, რომელიც დაკავშირებულია შახტთან და ამ გვირაბში ჩააწყეს ლითონის მილები. შემდგომ საწნეო მილსადენის დაქანება ხდება დაშლილი გრანიტოვანი კლდით. ეს კლდე გამაგრებულ იქნა ჰორიზონტალური და დახრილი ჭრილებით, რომლებიც შემდგომში ამოავსეთ არმირებული ბეტონით. ამასთან კლდეზე გაკეთებულ იქნა სპეციალური საყრდენები, რაც იცავს საწნეო მილსადენის მთელ ამ ვეებერთელა მასივს.

შესანიშნავად შეასრულეს მშენებლებმა მილსადენის ცალკე ელემენტების შედუღება. მილები ისე არიან ერთმანეთზე მიდუღებული, რომ არსად არც ერთი წვეთი წყალი არ ჟონავს, თუმცა ამ მილსადენში წყალი უაღრესი სიმძლავრით (50 ატმოსფეროს წნევით) ეშვება ქვემოთ.

მრავალი სიახლე იქნა გამოყენებული საგენერატორო სადგურის შენობის აგებისას. ეს შენობა დიდი და მაღალია. იგი აშენდა არმირებული ფერმებით, რამაც საშუალება მისცა მშენებლებს შენობის ჩონჩხის აღმართვის შემდეგ კედლების აყვანის პარალელურად დაეწყოთ დანადგართა მონტაჟიც. საგენერატორო სადგურის შენობის არქიტექტურამ მთავრობის კომისიის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და აქტში ჩაწერილ იქნა: „ხრამჰესის საწნეო და ძალოვანი კვანძების საერთო ხედი წარმოადგენს ქართველი ხალხის შრომითი თავდადების, სტალინური ეპოქის სიდიადის დამადასტურებელ ძვირფას ძეგლს"...

რკინიგზის სიშორე და მკაცრი კლიმატური პირობები დიდად ართულებდნენ მშენებლობას. არსებული გზა სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა მშენებლობისათვის საჭირო დიდი, მძიმე ტვირთების და სამშენი მასალების მოსაზიდად. სადგურის მოწყობილობათა ზოგი დეტალი სიმძიმით 60 ტონას აღემატებოდა. ამიტომ აუცილებელი გახდა მრავალი ათეული კილომეტრი ახალი გზის გაყვანა მშენებლობიდან რკინიგზის უახლოეს სადგურამდე. ამ ახალი გზის გასაყვანად შესრულებულ იქნა 1 მილიონი კუბმეტრი კლდის სამუშაოები და გზა მზად იყო მოძრაობის გასახსნელად სარეკორდოდ მოკლე ხანში.

ხრამჰესის მშენებლობის განმავლობაში ყოველ 1 კილოვატ დადგენილ სიმძლავრეზე დახარჯულია 26 კაც-დღე, ანუ ორჯერ ნაკლები დრო, ვიდრე სხვა მსგავს მშენებლობებზე. საშუალო გამომუშავებამ ერთ კაც-დღეზე შეადგინა 122 მანეთი, რაც მოწმობს მშენებლების მიერ მექანიზაციის ფართოდ გამოყენებას და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კარგ ორგანიზაციას. ამის შედეგი იყო, რომ ხრამჰესის მშენებლებმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალჯერ მოიპოვეს გამარჯვება და პირველი ადგილი.

ხრამჰესის მშენებელთა წარმატებებს პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 27 აპრილის ბრძანებულებით ხრამჰესმშენის ტრესტი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. ამასთან მშენებელთა კოლექტივის 312 მოწინავე მუშაკი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელ ინჟინერთა ერთ ჯგუფს მინიჭებული აქვს სტალინური პრემიები. სტალინური პრემიის ლაურეატთა შორის არიან ხრამჰესმშენის ტრესტის მმართველი და ხრამჰესის მშენებლობის უფროსი ინჟინერი ვ. ჭანკოტაძე, ინჟინერი ბესარიონ ერისთავი, რომელიც მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსად მუშაობდა და ხრამჰესის პროექტის ერთ-ერთი ავტორია, ინჟინერი მ. მოსტკოვი, რომელიც ტექნიკურ პროექტს ხელმძღვანელობდა, ცალკე სამშენებლო უბანთა ხელმძღვანელი ინჟინრები — მ. ებრალიძე, ნ. მაკარევიჩი, გ. მაევსკი, გ. წულეისკირი, ა. მიქაბერიძე, სამუშაო პროექტის ხელმძღვანელები — ნ. პოლოსინი, ს. რუტკოვსკი, ს. შანშიევი, გეოლოგიურ სამუშაოთა ხელმძღვანელი გ. ჯილაური, საგვირაბო სამუშაოთა ხელმძღვანელი სტახანოველი ბრიგადირი ი. ობოლაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კომუნისტური პარტიის XIV ყრილობაზე ხრამჰესს უწოდა ჩვენი რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის სიამაყე. ამ სიამაყის შექმნაში, მის ძირითად, უნიკალურად აღიარებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამართვასა და მრავალი ტექნიკური სიახლის დანერგვაში დიდი წვლილი მიუძღვით ზემოთ დასახელებულ სპეციალისტებს.

უმაღლესი, საამაყო ჯილდო — სტალინური პრემიის მინიჭება ხრამჰესელებს გვავალებს ვიმუშაოთ უფრო უკეთესად, მთელი ჩვენი ცოდნა და უნარი მოვახმაროთ საქართველოს ენერგეტიკის განვითარებას, ჩვენი სამშობლოს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

ა. გინდინი

ლენინის ორდენოსანი ტრესტის ხრამჰესმშენის მთავარი ინჟინერი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ

ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲝ...

კოტე ილურიძე — მეჯვრისხეველი მწყემსი ერთხელ, საძოვრებიდან რომ დაბრუნდა, თავისი სოფლის სამჭედლოში შევიდა...

ძველ საქართველოში სამჭედლო მუდამ გზისპირას იყო. გლეხებს ის ჰქონდათ თავშესაყრელ და სათათბირო ადგილად. იქ იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ თავიანთს ბედსა თუ უბედობაზე. მშრომელებში დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდნენ მჭედლები. ჭკვიან და განათლებულ ადამიანებად იყვნენ ცნობილნი. მოვიგონოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ 1856-57 წლებში სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებას მჭედელი უტუ მიქავა მეთაურობდა. მის სამჭედლოში დაიბადა ამ აჯანყების აზრიც და იარაღიც.

დიახ, საქართველოში მჭედლები, რკინისა და ფოლადის ოსტატები ყოველთვის საპატიო ადამიანებად ითვლებოდნენ.

პატარა კოტესაც ბევრი რამ გაეგონა მათზე. გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა ის ოსტატს, რომელიც მოულოდნელად შეეკითხა:

— ვისი ბიჭი ხარ?

— მიხეილ ილურიძისა.

— ბიჭოს, სახლიკაცი ყოფილხარ და არც კი გიცნობდი. მეც ილურიძე ვარ! — თქვა და კვლავ განაგრძო საქმე. გავარვარებული რკინის ნაჭერი უროს ქვეშ ღვედივით იზნიქებოდა, ნაპერწკლებს აყრიდა სახეში მჭედელს. ის კი ათასში ერთხელ ხელს თუ გადაისვამდა სახეზე, თითქოს აბეზარ ბუზებს იგერიებდა.

ცეცხლს ბრდღვიალი გაჰქონდა ქურაში. ისმოდა უროს ხმა და ქიტესას ღიღინი; ღიღინი, რომლითაც ენერგიას იკრებს და იორკეცებს მუშაკაცი დაღლილობისას.

მწყემსი ბიჭი თვალს არ აშორებდა მჭედლის ძარღვიანი ხელების სწრაფ მოძრაობას. რა ლონივრად იქნევს უროს ეს დალოცვილი! — ფიქრობდა კოტე.

ბოლოს ვერ მოითმინა ბიჭმა და დაბალი ხმით თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს ხელობა რომ ვიცოდე...

— მერე, შე კაი კაცო, ვინ გიშლის? ისწავლე! — უთხრა ქიტესამ. — მოდი აქ, აიღე ეს ურო. მძიმეა განა? არა უშავს რა. შეეჩვევი...

კოტე ილურიძემ მალე გაიწაფა ხელი. ერთ დღეს ქიტესამ სიხარულით უთხრა:

— რაც კი ვიცოდი, ყოველივე გასწავლე. რა მქონდა დასამალავი, რომ დამემალა? კაცმა რომ თქვას, ჩემზე ნაკლებად როდი იქნევ უროს. აწი შენ იცი და შენმა ბიჭობამ. მე კი მჯერა, შენ შორს წახვალ, ჩემო კოტე!

ამ დროისათვის მეჯვრისხევის (გორის რაიონი) ერთ-ერთ უბანში გაიხსნა ახალი სამჭედლო, სადაც მუშაობას შეუდგა ახალგაზრდა მჭედელი. მთელმა სოფელმა შეიყვარა კონსტანტინე ილურიძე. მის მიერ შეკეთებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღს წუნს ვერავინ დასდებდა. რასაც აკეთებდა, აკეთებდა გულით. არავის დაზარდებოდა, არავის ეტყოდა უარს.

ამ ოცდაერთი წლის წინათ კონსტანტინე ილურიძემ გადაწყვიტა თბილისში წამოსულიყო სამუშაოდ, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

ღელავდა ჭაბუკი. როგორ შეხვდებოდა სოფლის მჭედელს საქართველოს დედაქალაქი, როგორ წარიმართებოდა მისი ახალი თბილისური ცხოვრება? — აი, რა აფიქრებდა.

იცოდა ახალგაზრდა მჭედელმა, რომ აქ, ამ ქარხანაში, 1898 წელს თავისი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა მიიღო ხალხთა ბედნიერების დიდმა მჭედელმა ამხანაგმა სტალინმა.

ისიც არ დავიწყებია, რომ ამ ქარხანაში, მაშინ — რკინიგზის სახელოსნოებში, ამ საუკუნის დასაწყისს მუშაობდა სტალინის ერთგული თანამებრძოლი დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.

ერთ დროს აქვე მუშაობდა დიდი მწერალი მაქსიმ გორკი.

იცოდა ყოველივე ეს ილურიძემ და ამიტომ იყო, რომ ასეთი გატაცებით მოილტვოდა აქეთკენ...

ახალ სამუშაოზეც არ დაუკლია ილურიძეს ცდა და მონდომება, ძალა და ენერგია. თავს სიტყვა მისცა, რომ არ შეარცხვენდა ამ შესანიშნავი სტალინური ტრადიციების მქონე ქარხანას, მის კოლექტივს.

შრომობდა მონდომებით. მაგრამ ორთქლის მძლავრი ურო ის ხომ არ იყო, რაც სოფლის სამჭედლოში ენახა. აღმოჩნდა, რომ მისი ოსტატობა, რაც მაშინდელი სოფლის სინამდვილეში შესაფერი იყო, აქ არ იყო საკმარისი. აქ ხომ ორთქლმავლის რთულ ნაწილებთან ჰქონდა საქმე.

გაუძნელდა მუშაობა, ძლიერ გაუძნელდა!

დიდია კოლექტივის ძალა. კონსტანტინეს მზრუნველობას არ აკლებდნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები, ეხმარებოდნენ რჩევა-დარიგებით, თავიანთი გამოცდილების გაზიარებით.

გადიოდა დღეები, დაძაბული შრომისა და წინსვლის დღეები.

მეჯვრისხევიდან ჩამოსული მჭედელი საუკეთესოდ დაეუფლა ორთქლის უროს, ორთქლმავლის რთული ნაწილების დამზადების ტექნიკას, დაუცხრომლად და ბეჯითად იმაღლებდა თავის ოსტატობას.

ჯერ სტალინური გაწევის დამკვრელის ნიშნოსანი გახდა, მერე საპატიო რკინიგზელის წოდებაც მიაკუთვნეს.

1939 წელს მიღებულ იქნა ლენინ-სტალინის პარტიის წევრად.

კონსტანტინე ილურიძე მთელი ქარხნის საამაყო ადამიანი გახდა!

დიდი სამამულო ომის წინ კონსტანტინე ილურიძე საბჭოთა ქვეყნის გულს —მოსკოვს ეწვია. იქ, კრემლის დარბაზში, მიხეილ კალინინმა ლენინის ორდენი გადასცა მუშას იმ ქარხნიდან, სადაც ერთ დროს თვითონ იგი იდგა დაზგასთან.

რა თქმა უნდა, ღელავდა საკავშირო სტაროსტის უბრალო სტუმარი, მაგრამ, ასე გვგონია, არანაკლებ ღელავდა მისი დიდი მასპინძელიც. მას უთუოდ აგონდებოდა: თბილისი, რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, პირველი რევოლუციური ბრძოლები დიდი სტალინის წინამძღოლობით.

აგონდებოდა და ალბათ ფიქრობდა:

— არა, ამაოდ როდი გავიარეთ ცეცხლსა და გრიგალში. აი — ახალი ადამიანი, ახალი საბჭოთა მუშა, უმაგალითო სიმაღლეზე ასული. იგი და მისი მსგავსი ადამიანები ხომ ჩვენი ყველაზე დიდი გამარჯვებაა, ჩვენი ყველაზე ძვირფასი სიმდიდრეა!

კალინინმა გაუღიმა თბილისელ მჭედელს, და ამ ღიმილში გამოჩნდა რუსი ადამიანის, რუსული გულის მთელი სიდიადე.

ეს იყო საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავზე. ამას წინათ კი ჩვენმა რესპუბლიკამ თავისი არსებობის ოცდამეათე წლისთავი იზეიმა.

მაღალი მიზნისათვის შრომა ამაღლებს და აკეთილშობილებს კაცს, ამდიდრებს მის სულიერ სამყაროს, ხდის მას დიდი საქმეების, დიდი ოცნების ადამიანად.

კონსტანტინე ილურიძეც დიდი საქმეების, დიდი ოცნების ადამიანია. არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეული წარმატებით, არასოდეს არ იყინება ერთ წერტილზე. ეძებს, იბრძვის, ისწრაფვის, რათა ყოველთვის ახალი რამ შეიტანოს შრომის პროცესში. აზრის გაქანება და მაღალი სწრაფვა, ეს ბოლშევიკისათვის დამახასიათებელი ძვირფასი თვისება, მომავალში, ხვალინდელ დღეში ჩახედვა — აი ის, რა აძლევს მას წინსვლის საშუალებას.

საბჭოთა სახელმწიფოში იშლება საზღვარი გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. დღევანდელი ჩვენი რიგითი მუშა უბრალო ხელოსანი როდია. ის მოაზროვნე ადამიანია, რომელიც სულ უფრო და უფრო ღრმად ეუფლება მეცნიერებას, სწავლობს ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს და თავისი წვლილიც შეაქვს მის განვითარებაში.

ამის მაგალითად გამოდგება მჭედელი ილურიძეც. მისი შესანიშნავი გამოგონებანი და ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებანი ფართოდ არის დანერგილი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

მიმდინარე წელს თანამემამულეებმა მშობლიური გორის რაიონიდან კონსტანტინე ილურიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მეორედ აირჩიეს. ასეა, როცა ხალხის მსახური ამართლებს ხალხის ნდობას!

საქართველოს კ. პ. (ბ) მეთოთხმეტე ყრილობაზე კონსტანტინე ილურიძე თავის დელეგატად წარგზავნეს ლენინის სახელობის რაიონის კომუნისტებმა. იმავე ყრილობამ იგი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩია.

იზრდება ილურიძის შრომითი მაჩვენებლები. ორთქლმავლის დეტალების დამზადების დავალების ოთხმაგად და ხუთმაგად შესრულება ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავია მისთვის.

ნოვატორი მჭედელი ბევრს მუშაობს იმისათვის, რომ ამხანაგებს გაუზიაროს თავისი მდიდარი გამოცდილება. მან მოხსენება გააკეთა დედაქალაქის ქარხნების მჭედლების წინაშე. განსაკუთრებით დიდ დროს უთმობს ახალგაზრდებს.

მშვიდობისმოყვარე და შრომისმოყვარე ქართველი ხალხის სახელით მონაწილეობდა კონსტანტინე ილურიძე მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის მუშაობაში, ახლა კი თავისი თავდადებული შრომით შეაქვს წვლილი მშვიდობის გამარჯვების საქმეში.

... დღეს ორთქლის უროსთან კონსტანტინე ილურიძე და უკვე ასრულებს 1958 წლის გეგმას.

ადამიანმა გაუსწრო დროს!

ხუტა ბირულავა

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲗᲕᲘᲣᲠᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის 25 მარტიდან დაიწყო ქალაქის კეთილმოწყობის ორთვიური.

ორთვიურის მომწყობმა კომისიამ შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი ქალაქის ქუჩების დასუფთავების, გამწვანების, წყალსადენისა და კანალიზაციის სამუშაოთა შესრულების, შენობათა რემონტის ჩატარების და ელექტრომეურნეობის მოწესრიგების დარგში.

გათვალისწინებულია დაიწყოს სტალინის, კიროვის, ბერიას და მაიაკოვსკის ქუჩების მოასფალტება.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. სურათზე: საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილე სტახანოველები მრანდავი ა. ცერცვაძე (მარჯვნივ) და ხარატი ი. ტენიშევი. ისინი სტახანოვურ ვახტზე დგანან და გამომუშავების დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲔᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲡ

თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს მუშაობა თბილისის სტალინის სახელობის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში. პროდუქციის გამოშვების თვიურ დავალებას აქ გადაჭარბებით ასრულებენ, იცავენ ასორტიმენტს.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა აპრილში 1.200 წყვილი ფეხსაცმელი შეკეროს გეგმის გადამეტებით, აითვისოს ტყავის საძირიანი ახალი მოდის ფეხსაცმლის წარმოება.

კარგად მოაწყვეს შრომა ცხელი ვულკანიზაციის საამქროში. საამქრო წინათ ჩამორჩებოდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებში. მარტის პირველ რიცხვებში კაპიტალურად შეაკეთეს სავულკანიზაციო ჰიდროწნეხები, გააუმჯობესეს ფეხსაცმლის საზედაპირე ტყავის დამუშავება, კვალიფიკაცია აუმაღლეს მუშებს და ამის შედეგად წარმატებაც მოიპოვეს. საამქრომ მარტში პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება ნაცვლად 81 პროცენტისა 85 პროცენტამდე გაადიდა. ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ ზედაპირის საგამომჭრელო საამქროშიც.

ბრიგადები იბრძვიან ნედლეულისა და დამხმარე მასალების კომპლექსური ეკონომიისათვის. საზედაპირე ტყავის გამომჭრელთა ლ. გებოიანის ბრიგადამ პირველი კვარტალის დავალება 22 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა. ამავე დროს ამ ბრიგადამ მარტო ერთ თვეში 10.118 კვადრატული დეციმეტრი საზედაპირე ტყავის ეკონომია გასწია.

ცხელი ვულკანიზაციის საამქროში ყველას გაუსწრო შ. მეჩიტაშვილის ბრიგადამ, რომელმაც მარტის დავალება 81 პროცენტით გადააჭარბა. ამ ბრიგადის მიერ გამოშვებული პროდუქციის 98,2 პროცენტი პირველხარისხოვანია. ზედაპირის დამამზადებელთა ქ. აბშილავას ბრიგადამ დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება 1,7 პროცენტით შეამცირა.

კვლავ მოწინავეთა რიგებშია ფეხსაცმლის ზედაპირის გამომჭრელი სტახანოველი ნ. მესტვირიშვილი. მან მარტში 1.550 კვადრატული დეციმეტრი ტყავი დაზოგა. გამომუშავების ნორმებს 50-80 პროცენტით აჭარბებენ ვულკანიზატორი მ. ედიგაროვი, ზედაპირის გადამჭიმავი რ. აზატოვა, ზედაპირის შემკერავები დ. ბახაჩაშვილი და სხვ.

ფაბრიკის კოლექტივი ამჟამად კერავს ახალი ასორტიმენტის ტყავისა და ტილოს ფეხსაცმელს ტყავის საძირით.

მეფეხსაცმლეები ენერგიულად იბრძვიან საპირველმაისო შეჯიბრებში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ე. ჯაფარიძე

ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). რკინიგზის ჭიათურის სადგურის კოლექტივი საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული შორაპნისა და ტყიბულის სადგურების კოლექტივებთან. სადგურის კოლექტივმა 28 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის დავალება. ჭიათურელმა რკინიგზელებმა მარტის ცალკეულ დღეებში მარგანეცის გაზიდვის გეგმები 130-140 პროცენტით შეასრულეს და გზის უფროსის მადლობა დაიმსახურეს.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა კომპლექსური ცვლა, რომელსაც ა. ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს. ამ ცვლას მიეკუთვნა გარდამავალი დროშა.

უწუნოდ მუშაობენ მემანქანეები გრ. კაპანაძე, შ. ებანოიძე, ს. გრიგალაშვილი. კაპანაძემ შარშან 4.215 კილოგრამი საწვავი დაზოგა, ებანოიძემ—4.283, ხოლო გრიგალაშვილმა — 8.408 კილოგრამი.

მატარებლების შემდგენლებიდან აღსანიშნავია ბ. კაპანაძის, შ. კვესიტაძის, კ. ბიწაძის და ი. მოდებაძის ნაყოფიერი მუშაობა.

ასევე კარგად მუშაობენ მეისრეები ს. ტყემალაძე, ვლადიმერ და ვიქტორ მჭედლიძეები, მევაგონეები ბ. მახათაძე და ვლ. შუკაკიძე.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

„ᲢᲧᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ" ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲤᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" სრულიად საქართველოს საბჭო ამა წლის 10 მაისამდე აწყობს „ტყის დღეს". თბილისში „ტყის დღე" 8 აპრილს მოეწყობა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ „ტყის დღის" მომზადებასა და ჩატარებაში.

კლუბებში, წითელ კუთხეებში, ბიბლიოთეკებსა და საერთო საცხოვრებლებში უნდა მოეწყოს ლექციები, მოხსენებები და საუბრები გამწვანების მნიშვნელობასა და მწვანე ნარგავების მოვლა-დაცვის საკითხებზე.

„ტყის მეგობრის" საზოგადოების ადგილობრივ საბჭოებთან ერთად ძირეულმა პროფორგანიზაციებმა უნდა შეადგინონ საწარმოების, დაწესებულებების, საერთო საცხოვრებლების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე მუშათა საცხოვრებელი დაბების გამწვანების გეგმები, მიაღწიონ ნარგავთა დარგვის დაწესებული საკონტროლო ციფრების აუცილებელ შესრულებასა და გადაჭარბებას, ფართო მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობით უზრუნველყონ „ტყის დღის" ჩატარებაში მუშათა, მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა მაქსიმალური რაოდენობით მონაწილეობა.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ. (სპეც. კორ.). სოფელ თამარისის კოლმეურნეობა „გამარჯვება" წელს მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო სამუშაოებს. უკვე დაიწყო სიმინდის თესვა, ვენახის ახვევა, თოხნა. ამ კოლმეურნეობას აქტიურ დახმარებას უწევენ შრომითი მონაწილეობით რვაწლიანი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები. ისინი განსაკუთრებით კარგად შრომობენ ჯეჯილის მარგვლაში, ფართობების ქვისაგან გასუფთავებაში, ვაზის დასამყნობად საკვირტე მასალის დამზადებაში.

ᲗᲔᲡᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ

მესხეთში ამჟამად თბილი ამინდია. ეს ხელს უწყობს ხვნა-თესვის გაჩაღებას. ახალციხელი კოლმეურნეები მასობრივად გავიდნენ მინდვრად.

საგაზაფხულო თესვას ყოველმხრივ მზად შეხვდა დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. კაკაჩიშვილი). აქ საკუთარი სახსრებით ააგეს წყლის საქაჩავი სადგური, რომელიც 60 ჰექტარ ხორბლის ნათესს მორწყავს, მინდვრად გაიტანეს 8.000 ტონა ნაკელი, მინერალური სასუქი, შეაკეთეს 130 გუთანი, 34 ფარცხი, 4 სათესი მანქანა და თესვისათვის საჭირო მთელი ინვენტარი, კარგად გამოაზამთრეს მუშა-პირუტყვი და სრულ კონდიციამდე აიყვანეს სათესლე მასალა.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვის პასუხად ლუკა კოპაძის ბრიგადამ იკისრა საგაზაფხულოდ დათესოს 32 ჰექტარი ქერი და თვითეულ ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობა გეგმით დაწესებული 16.5 ცენტნერის ნაცვლად 25 ცენტნერამდე აიყვანოს, ორჯერ გადააჭარბოს კარტოფილისა და ხილის მოსავლიანობის დაწესებულ ნორმას. თესვის წინ კოპაძის ბრიგადამ ნიადაგში შეიტანა გადამწვარი ნაკელი, ღრმად მოხნულ ნიადაგში დაიწყო მარცვლეულის თესვა.

შერჩევითი თესვა გააჩაღა ფერსის სასოფლო საბჭოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ. გაჩაღდა კარტოფილის, სიმინდის თესვაც. თესვის პირველ დღეებში სტახანოვური შრომით გამოირჩევიან ო. ტაბატაძე, ა. ტაბატაძე, ნ. წიქარიშვილი. კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს გეგმის გადამეტებით დათესოს 5 ჰექტარი ქერი. თესვა ორგანიზებულად გაჩაღდა აგრეთვე გიორგწმინდის ჯაფარიძის, აბათხევის მიქოიანის სახელობის და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში.

საგაზაფხულოდ რაიონში 3.250 ჰექტარი ქერი, სიმინდი, ღომი, ლობიო, კარტოფილი, ბოსტნეული დაითესება. ამ სამუშაოთა შესრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალციხის მანქანა-ტრაქტორთა სადგური (დირექტორი ი. ქავთარაძე). მტს-ში დაკომპლექტებულია 7 ბრიგადა. ყველაზე მოწინავეა კომუნისტ ანტონ ფეიქრიშვილის სატრაქტორო ბრიგადა. იგი ყოველმხრივ, მზად შეხვდა გაზაფხულის სეზონს. მაღალხარისხოვნად ჩატარდა 3 სტზ, ერთი უნივერსალის, დტ-54 და ნატის მარკის ტრაქტორების რემონტი. სოფელ კლდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ხვნაზე პირველი გავიდა ტრაქტორისტი ი. ფეიქრიშვილი და ნორმით დაწესებული 5,5 ჰექტარის ნაცვლად 6,5 ჰექტარი მოხნა. ასევე დიდ წარმატებებს აღწევენ ტრაქტორისტები მ. თათეოსიანი და ლ. გაბრელიანი.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის საქმეში არის ნაკლოვანებანიც. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყურადღება არ მიაქციეს თესლის დახარისხებას. სოფელ ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 65 ცენტნერი თესლი უკონდიციო იყო. ჭიანურდება სასუქის გატანა მინდვრად. თესლის დახარისხებაში თვალის ახვევას მიმართა სოფელ ჭეჭერქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა გ. ალაფარიანმა. მან ლაბორატორიაში მხოლოდ ერთი კილოგრამი გაწმენდილი თესლის ნიმუში წარადგინა, 115 ცენტნერი კი უკონდიციო აღმოჩნდა.

ქ. ახალციხეში არსებობს „გლავზაგოტსორტზერნოს" საქართველოს რესპუბლიკური კანტორის პუნქტი, რომელიც მესხეთ-ჯავახეთის რაიონებს ჯიშიანი თესლით ამარაგებს. ამ პუნქტიდან ჯიშიანი თესლის გატანა დააგვიანეს ანის კალინინის, ურავლის 26 კომისრის და ზემო სხვილისის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებმა. ასევე ჭიანურდება ბალახის თესლის გატანა.

სოფელ აწყურის სტალინის, კლდის ბერიას, წყროს სპანდარიანის, მინაძის, ძერჟინსკის და ჭეჭერქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს აკლიათ ლობიოსა და უგრეხელის თესლი.

ეს ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოსწორდეს.

ᲘᲠ. ᲮᲐᲠᲘᲑᲐᲕᲐ

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებთან ერთად რეიდი მოაწყო ქალაქ თბილისში სისუფთავის მდგომარეობის შესამოწმებლად.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელ წლებში ქალაქში სისუფთავის დაცვის საქმეს დიდი ყურადღება ექცევა. მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. მაგალითად, ვერცხლის, საზოგადოების, პირველი მაისის, რ. ერისთავის, ყაზბეგის, ბელინსკის, პეტრიაშვილის ქუჩებს დილით მოურწყავად ჰგვიან. ლესელიძის ქუჩაზე ქალთა 35-ე სკოლის წინ სკვერის შესასვლელ კართან მამაცაშვილის ქუჩის № 5 სახლის მობინადრენი ხშირად ყრიან ნაგავს.

უსუფთაობაა 26 კომისრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში (დირექტორი ა. თოფურია). აქ საკანალიზაციო ქსელის დაზიანების გამო ხორცის საკონტროლო სადგურში ჭუჭყიანი წყალი იდგა. ბაზარს ერთადერთი სანაგვე ყუთი აქვს და ისიც ხორცის გასაყიდ ფარდულთან დაუდგამთ.

ლესელიძის ქუჩაზე მდებარე № 24 სახლის ეზოთი სარგებლობენ „გლავლესსბიტი", № 6 სამკერვალო ფაბრიკა და სხვა დაწესებულებანი. ეზოს ცენტრში აუზი გაბინძურებულია, წყალსადენის დაზიანების გამო წყალი ეზოში იღვრება და მას ატალახებს. წესრიგზე არ არის მოყვანილი ბალნეოლოგიური კურორტის, მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის, ავტოსარემონტო ქარხნისა და მუსიკალური ინსტრუმენტების კომბინატის ეზოებში არსებული წყლის აუზები.

სამშენებლო ნარჩენებით და ნაგვით დანაგვიანებულია მამაცაშვილის ქუჩაზე № 8, ლენინის — № 37, წილკნის — № 3, უნივერსიტეტის—№ 20 სახლების ეზოები. ნაგვის ყუთების უქონლობის და დაზიანების გამო უსუფთაო და ჭუჭყიანია დოდაშვილის ქუჩაზე № 5, 5 დეკემბრის — № 8, კალინინის — № 46 და სხვა სახლების ეზოები. საბჭოს ქუჩაზე № 93 სახლის ეზოში სანაგვე ყუთს დროზე არ ცლიან. ასევეა წილკნის ქ. № 3, ლენინის—№№ 5, 6, 8 სახლების ეზოებში.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა საერთო საცხოვრებელში (კომენდანტი მ. მაჭავარიანი) საკანალიზაციო ქსელი დაზიანებულია. კავთისხევის ქუჩაზე № 19 სახლის მეპატრონე კ. დარჯანია ეზოს კეთილმოწყობისა და სისუფთავის დაცვისათვის სრულებით არ ფიქრობს. ეზოში წყლის მრიცხველის ჭა დაბინძურებულია, არ არის სანაგვე ყუთი. ქუჩიშვილის ქ. № 2 სახლის მეპატრონე ა. აბაშიძე დიდი ხანია აჭიანურებს დაზიანებული კანალიზაციის შეკეთებას. მსგავსი მდგომარეობაა ორჯონიკიძის ქუჩაზე № 66 სახლის ეზოში.

სისუფთავეს არ იცავენ ზოგიერთ მაღაზიებსა და სასადილოებში. თბილკვებვაჭრობის № 58 მაღაზიაში (გამგე მ. ეგორიშვილი) რძისა და ხორცის პროდუქტები მტვრიანდება. შემოწმების დროს მაღაზიაში სანიტარული ჟურნალი არ აღმოჩნდა. ამავე სისტემის სავაჭრო წერტში, სადაც გამყიდველია ს. მაჩაიძე, ჭიქები ჭუჭყიანი წყლით ირეცხება. კვების პროდუქტებით ვაჭრობისათვის შეუფერებელია თბილნაწილსტანვაჭრობის № 2 მაღაზიის № 2 ფარდული, რომლის ჭერი აბლაბუდით იყო დაფარული. სანიტარული მდგომარეობა აქ გასული წლის დეკემბრის შემდეგ არ შეუმოწმებიათ. უსუფთაობაა აგრეთვე ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის № 9 სავაჭრო წერტში, საქვაჭრობის № 2 მაღაზიაში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 11 სასაუზმეში, ხრამჰესმშენის მუშათა მომარაგების № 9 და რკინიგზის მუშათა მომარაგების საორთქლმავლო დეპოს სასადილოებში.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ თბილისში ყველგან ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მტკიცე სანიტარული წესრიგი. საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ აღნიშნული ნაკლოვანებანი, მივიღოთ ზომები მათ წინააღმდეგ, ვინც სანიტარულ წესრიგს არღვევს.

რეიდის მონაწილენი:

Ნ. ᲚᲝᲛᲘᲫᲔ, Ა. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ, Ლ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Გ. ᲢᲣᲙᲕᲐᲫᲔ, Ა. ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐ, Გ. ᲮᲔᲜᲒᲐᲕᲐ.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ᲣᲚᲘᲠᲡᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ქუთაისის რაიონიდან ამ სათაურით გამოგზავნილ წერილში სოფკორი გვწერდა, რომ სოფელ ნახშირღელის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან 9 ჰექტარი მსხმოიარე ვენახიდან მხოლოდ 12 ტონა ყურძენი მოიწიეს, 842 ლიტრი ღვინო მოუვლელობით გაფუჭდა, სიმინდის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 6 ცენტნერს ძლივს მიაღწია. გარდა ამისა, არის საკოლმეურნეო ქონების მითვისება-განიავების ფაქტები. შარშან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აბესალომ ტყაბლაძემ ზესტაფონში 2 კუბმეტრი ხის მასალა შეიძინა, რაზეც კოლმეურნეობას სათანადო ანგარიშის ნაცვლად რატომღაც აქტი წარუდგინა და 1.500 მანეთი გაინაღდა. 5.000 მანეთად შეძენილი ცხენი თავმჯდომარემ მოუვლელობით მოკლა.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ლ. გაბრიაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. რაიონული კომიტეტის ბიურომ რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას, რომ ა. ტყაბლაძე მოხსნას კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. მასალები ტყაბლაძის შესახებ გადაეცა რაიონის პროკურატურას მისი პასუხისგებაში მისაცემად.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 31 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან ერთად ფრონტის ყველა უბანზე განაგრძობენ გააფთრებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებდნენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ფრონტის დასავლეთ უბანზე სახალხო არმიის ნაწილებმა 31 მარტს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ფხენიანი, 1 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 1 აპრილს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობენ გააფთრებულ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ და სერიოზულ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სეულის მიმართულებით ერთ-ერთ ბრძოლაში სახალხო არმიის ნაწილებმა მთლიანად მოსპეს ლისინმანელი ჯარების ერთი ბატალიონი. ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი.

ინგლისელ ჯარისკაცებს არა სურთ ბრძოლა კორეაში

ლონდონი, 31 მარტი. (საკდესი). გაზეთი [illegible]

„ამერიკის თვითმფრინავები,—დასძინა ბინსმა,—მთელი დღეების განმავლობაში დაფრინავენ, ისვრიან ტყვიამფრქვევებსა და ყრიან ბომბებს. დანგრეულია თითქმის ყველა სოფელი. ამერიკელები ხოცავენ ქალებსა და ბავშვებს. ამერიკელები სროლას იწყებენ, როგორც კი შეამჩნევენ რაიმე მოძრაობს, მამაკაცი იქნება ეს, ქალი, ბავშვი თუ ცხოველი".

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლის განცხადება

შანხაი, 2 აპრილი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, სხვადასხვა ფრონტზე მოპოვებულ გამარჯვებებთან დაკავშირებით ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება ვიეტნამში საომარი მდგომარეობის შესახებ.

მან დაწვრილებით ილაპარაკა ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრონტზე და ტუატ-ხიენის (ცენტრალური ვიეტნამი) პროვინციაში ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარების დიდ წარმატებათა შესახებ.

შეეხო რა ჩრდილო-აღმოსავლეთ ფრონტზე ოპერაციების თავისებურებებს, უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა: „ამჟამად საფრანგეთის პოზიციები გაცილებით უფრო ძლიერ იყო გამაგრებული, ვიდრე წინათ. მათ ჰქონდათ ბევრი ბლოკჰაუზი, რომლებიც იგებუ- [illegible] მოწინააღმდეგის უკვე განადგურებულ გამაგრებულ პუნქტებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ გომინდანის ყოფილი ჯარების ნაშთები, რომელთაც ფრანგები იყენებდნენ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად".

ფრანგთა ჯარების მხეცობა ვიეტნამში

ლონდონი, 1 აპრილი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ხანოიდან იუწყება, რომ საფრანგეთის ავიაცია ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებს ნაპალმის ბომბებს (ნაპალმი—შესქელებული ბენზინი, რომელიც ძლიერ ცეცხლგამჩენ ნივთიერებას წარმოადგენს).

იტალიის კომუნისტური პარტიის VII ყრილობისათვის

ტოლიატისა და სეკიას განცხადებანი გაზეთ „უნიტასადმი"

რომი, 1 აპრილი. (საკდესი). იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ და გენერალური მდივნის მოადგილემ პიეტრო სეკიამ გაზეთ „უნიტას" გადასცეს განცხადებანი მიღწეულ წარმატებათა და იტალიის კომპარტიის წინაშე მდგომ ამოცანათა შესახებ ეროვნულ ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც 3 აპრილს იხსნება.

[illegible]

ყრო, ე. ი. მეტი კეთილდღეობა და თავისუფლება მოგვეპოვებინა მშრომელებისათვის ყველგან, სადაც ჩვენ კარგად და თანმიმდევრულად ვმუშაობდით...

ყველას თვალში ჩვენ გამოვდივართ არა მარტო როგორც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მთავრობის მოქმედებას მხოლოდ აკრიტიკებს [illegible]

[illegible] მუდამ ვემსახურებოდით და ვემსახურებით მშრომელთა ერთიანობის საქმეს და იტალიის მშრომელებმა კარგად იციან ეს...

გარდა ჩვენი წინააღმდეგობის ძალისა და ჩვენი რიგების ზრდისა, ჩვენს აქტივში უნდა ჩაითვალოს ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვეწეოდით, და ჩვენი მოქმედება, რათა მოგვეპოვებინა ხალხისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებანი იმ საკითხებში, რომლებიც შეეხება ხალხის ლუკმაპურსა და სამუშაოს...

ერთი სიტყვით, ჩვენ არა მარტო ბევრნი ვართ, არამედ ჩვენი ძალები იმდენად დიდია, რომ შევძელით უკეთესი პოზიციები დაგვეპ- [illegible]

უნდა იქნას მხოლოდ ყველა პარტიის პატიოსან ადამიანთა აქტიური მუშაობისა და ინიციატივის შედეგად, მუშათა კლასისა და ხალხის ფართო მასების ბრძოლის შედეგად...

იტალიის კომუნისტური პარტიის მეშვიდე ყრილობამ უნდა დააყენოს და განიხილოს ის ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც ხელს შეგვიწყობენ გამოვნახოთ ამ „დიადი თანხმობის" გზა, ხელს შეგვიწყობენ მოვაწყოთ და გავაძლიეროთ ბრძოლა მშვიდობისათვის, შრომისათვის, თავისუფლებისათვის, განვამტკიცოთ მუშათა კლასის ერთიანობა და გავადიდოთ მის მოკავშირეთა რიცხვი".

შანხაის გაზეთები მაკარტურის განცხადების შესახებ

შანხაი, 31 მარტი. (საკდესი). შანხაის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა მშვიდობის დაცვისა და ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის სახალხო კომიტეტის წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც მან სასტიკად დაგმო მაკარტურის 24 მარტის პროვოკაციული განცხადება.

გაზეთი „დაგუნბაო" მოწინავე სტატიაში წერს: მაკარტური ცდილობს ომით დააშინოს ჩინეთი... მშვიდობის დაცვისა და ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის სახალხო კომიტეტის წარმომადგენელმა მკვეთრად დაგმო თავაშვებული მაკარტურის პროვოკაციული ბოდვა.

მაკარტურის თავხედური ბლეფი, აღნიშნავს გაზეთი, უთუოდ ჩაიშლება ისევე, როგორც წინათ. იგი ომით აშინებს ჩინელ ხალხს, მაგრამ ჩინელი ხალხი მშიშარა როდია. ჩვენ თავიდანვე, კორეაში ამერიკისა და ინგლისის აგრესიული [illegible] განცხადების პასუხად ჩინელმა ხალხმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს თავისი სიფხიზლე და მზად იყოს წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკის იმპერიალიზმს, თუ ეს უკანასკნელი გაბედავს ხელყოს ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა.

მაკარტურის განცხადების მიზანი ის იყო, რომ დაეშინებინა ჩინელი ხალხი. მაგრამ მისი შედეგი სრულიად სხვა რამ აღმოჩნდა—ამ განცხადებამ ძლიერ შეაშფოთა ამერიკის სატელიტები. ინგლისმა და საფრანგეთმა „თავი უხერხულად იგრძნეს" და მაკარტურის ველური ბოდვის გამო „აღშფოთებაც კი გამოთქვეს".

ჩვენ, წერს დასასრულ გაზეთი, მშვიდობის დაცვისა და ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის სახალხო კომიტეტის მოწოდებას ერთსულოვნად ვუპასუხებთ ჩვენი სიფხიზლის გადიდებით, ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ და კორეისადმი დახმარებისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

გაზეთი „სინვენჟიბაო" მოწინავე სტატიაში „მაკარტურის თავხედური მოთხოვნა" წერს: ამერიკის იმპერიალისტებმა თავიანთი თავხედობის ყოველგვარი საზღვარი გადალახეს. სამხედრო დამნაშავე მაკარტური გონებადაკარგული იმპერიალისტების ამ ჯგუფის ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენელია. მაკარტურმა გაბედა [illegible] სარდლობაში მყოფი ამერიკისა და ბრიტანეთის აგრესიული ჯარები.

წამოაყენა რა ეს მოთხოვნები, განაგრძობს გაზეთი, მაკარტურს დაავიწყდა, რომ მას უკვე გასცეს საკადრისი პასუხი კორეის სახალხო არმიამ და ჩინელმა მოხალისეებმა, მას დაავიწყდა თავისი არაერთგზისი დამარცხება.

დასავლეთ გერმანიის დიასახლისებს ცინიკურ რჩევას აძლევენ

ბერლინი, 1 აპრილი. (საკდესი). შუმახერელთა გაზეთმა „რაინ-ეხომ", რომელიც დიუსელდორფში გამოდის, „დასავლეთ გერმანიაში ფასების ზრდასთან ბრძოლის ახალი მეთოდი" გამოიგონა. ამ გაზეთის რედაქტორი დიასახლისებს აძლევს ასეთ რჩევას: „ნაკლები იყიდეთ, ხოლო, თუ შესაძლებელია, სულ ნუ იყიდით,—მაშინ საქონელი გაიაფდება". თუ, ამტკიცებს იგი, გადამღნარი ქონის ნაცვლად დროებით მარტოოდენ მარგარინს იყიდით... გადამღნარი ქონის ფასი დაიკლებს.

კომენტარს უკეთებს რა ამ „ბრძნულ" რჩევას, გაზეთი „ფრაიეს ფოლკი" ირონიით წერს: „ჰამეთ მეტი ნაზუქი, და მალე შეძლებთ იაფი პურის ყიდვას... ფეხშიშველა იარეთ, და მაშინ ფეხსაცმლის ფაბრიკანტები მუდარას დაგიწყებენ, და მათ ფასში მოურიგდებით".

სახალხო მშენებლობა მდინარე ხუანხეზე ჩინეთში

პეკინი, 1 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ მდინარე ხუანხეზე მიმდინარეობს გრანდიოზული მშენებლობა. შუა მარტისათვის მდინარის შუა და ქვემო წელში მდებარე სამშენებლო უბნებზე ხენანის, პინიუანის და შანდუნის პროვინციებში უკვე ჩავიდა 200 ათასზე მეტი მუშა და დაიწყო ძველი ჯებირებისა და კაშხალების აღდგენა და ახალთა შენება. ამ გაზაფხულზე მდინარე ხუანხეს ჯებირები და კაშხალები დამაგრდება მდინარის ორივე ნაპირის გაყოლებით, რისთვისაც საჭირო იქნება 16 მილიონზე მეტი კუბური მეტრი მიწის სამუშაოს შესრულება და 520 ათასამდე კუბური მეტრი ქვიტკირის ამოყვანა.

ჩინეთში შემოიღეს ფულის ერთიანი სისტემა

პეკინი, 1 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ მთელ ჩინეთში 1 აპრილიდან ფულის ერთიანი სისტემის შემოღების შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში და შიდა მონღოლეთის ავტონომიურ რაიონში, სადაც საკუთარი ვალუტა არსებობდა, იწყება ადგილობრივი ვალუტის ფულის ნიშნების გადაცვლა ჩინეთის სახალხო ბანკის სახალხო იუანებზე.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფულის ერთიანი სისტემის შემოღება ხელს შეუწყობს ვალუტის შემდგომ სტაბილიზაციას და ჩინეთის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

ამერიკის შეერთებული შტატების გამალებული შეიარაღების შედეგები

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. (საკდესი). ამერიკელ მუშებს, რომელთა ხელფასიც გაყინულია გასული წლის იანვრის დონეზე, ემუქრება კვების პროდუქტების ფასების შემდგომი ზრდა, თუმცა სიძვირემ უკვე ისედაც უკიდურესად მაღალ დონეს მიაღწია. 29 მარტს „ფასების სტაბილიზაციის სამმართველოს" ხელმძღვანელმა დისოლმა გამოაქვეყნა ახალი დადგენილება „ხორცული ფასების დაწესების შე- [illegible] პულ იქნა დადგენილება ფასების პირველი „გაყინვის" შესახებ. ახლანდელი დონე 17,2 პროცენტით აღემატება კორეაში ომის დაწყებამდე არსებულ ფასების დონეს და 20,3 პროცენტით — გასული წლის მარტის უკანასკნელ კვირაში არსებულ დონეს.

გიბრალტარს ჩავიდა ამერიკის ესკადრა

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გიბრალტარიდან იუწყება, რომ იქ ჩავიდა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი შენაერთი, რომელიც 17 ხომალდისაგან შედგება. 31 მარტს, აღნიშნავს კორესპონდენტი, გიბრალტარში მოვიდან ამერიკის ავიანოსანი „კორალ სის".

დაიწყო ჩვენი ქვეყნის 1951 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. სურათზე: ზემოთ — ფეხბურთის სეზონის დაწყებისადმი მიძღვნილი პარადი; მარცხნივ—„დინამოსა" და „სპარტაკის" კაპიტნები ა. ლოლობერიძე და ვ. ლომაია მაღლა სწევენ პირველობის ალამს; ცენტრში: თამაშის მომენტი; ქვემოთ: „სპარტაკის" მეკარე ვ. ქმელკოვს გაუსხლტა ბურთი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

ა ლ ა მ ი ა ღ მ ა რ თ უ ლ ი ა

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (თბილისი) — 6 : 0

კვირას, 1 აპრილს, ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებზე 40 ათასამდე მაყურებელმა მოიყარა თავი. ამ დღეს საზეიმო ვითარებაში დაიწყო ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1951 წლის პირველობის გათამაშება.

4 საათი და 30 წუთია. იწყება 1951 წლის ფეხბურთის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი პარადი. თბილისის მოწინავე ფეხბურთელთა კოლონები სამხრეთის ტრიბუნის თაღოვანი შესასვლელიდან მწყობრი ნაბიჯებით შემოდიან [illegible] „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში არიან: მარღანია, ელოშვილი, ძიაფშიპა, სარჯველაძე, კილაძე, პანიუკოვი, ჯოჯუა, კ. გაგნიძე, ვარდიმიადი, ლოლობერიძე, თოდრია; სპარტაკელები თამაშობენ შემდეგი შემადგენლობით: ქმელკოვი, კიწურაშვილი (მეორე ტაიმში შუდრა), კატანოვი, ხურციძე, ნ. გავნიძე, გუგუნავა, გრამატიკოპული, გამყრელიძე, აროშიძე, ლომაია, სიხარულიძე.

მატჩი დაიწყო სწრაფი ტემპით. პირველი იერიში სპარტაკელებმა მიიტანეს, მაგრამ დინამოელთა დაცვამ, რომელმაც აღნიშნული მატჩი საერთოდ მაღალ დონეზე ჩაატარა, იერიში ადვილად მოიგერია. მესამე წუთზე, საპასუხო იერიშის დროს, გარღვევაზე გასულ კ. გაგნიძეს („დინამო") და სპარტაკელ გუგუნავას შორის გამართული ორთაბრძოლა დამთავრდა იმით, რომ გუგუნავამ თავისსავე კარში გაიტანა ბურთი.

ინიციატივა მთლიანად დინამოელთა ხელში გადადის. ენერგიულად და გააზრებულად მოქმედებს „დინამოს" თავდასხმის მარჯვენა ფრთა, სადაც ჯოჯუა და კ. გაგნიძე ურთიერთშეწყობილად თამაშობენ. დინამოელები მოკლე და დაბალი გადაცემებით ცდილობენ გაიკაფონ გზა „სპარტაკის" კარისაკენ და ხშირად კიდევაც აღწევენ ამას, მაგრამ კარში დარტყმები არაზუსტია ან ბურთი პირდაპირ ხელებში უვარდება მეკარე ქმელკოვს. 36-ე წუთზე ა. ლოლობერიძე მარჯვენა ფრთიდან სწრაფად უახლოვდება [illegible] თავრდა. მეხუთმეტე წუთზე ვარდიმიადმა („დინამო") ზუსტი დარტყმით მეოთხე ბურთი გაიტანა. მეოთხე ბურთმა გადამწყვეტი გავლენა იქონია თამაშის მსვლელობაზე. სპარტაკელებმა საბოლოოდ დაკარგეს წონასწორობა და მხოლოდ დროდადრო ეპიზოდური იერიშებით ცდილობდნენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას. 36-ე წუთზე ა. ლოლობერიძე ოსტატურად გაუსხლტა „სპარტაკის" ორ მცველს და ახლო მანძილიდან მეხუთედ შეარხია მოწინააღმდეგის კარის ბადე, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე მანვე კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი თავისუფალი საჯარიმო დარტყმა და კიდევ ერთი ბურთით გაადიდა ანგარიში.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით—6 : 0.

ა. გოგოლაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

4 აპრილს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 — კონცერტი. 18.10 — საფორტეპიანო მუსი- [illegible]

დღეს თეატრებში

[illegible]

დღეს კინოებში

[illegible]

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ქიმიის კათედრის პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე.
კონკურსში მონაწილეთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების ასლები და მეცნიერული ნაშრომების სია.
კონკურსის ვადაა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.
ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 31.

[illegible]

შვილები ელიზბარ, ფაიოზ, ელენე, რძლები თამარ, ნუნუ, ანიკო, სიძე ლ. ქავთარაძე, შვილიშვილები ქეთო, ლევან, ადა, გივი, ვახტანგ, თინა იუწყებიან **საშა გრიგოლის ასულ ლამბაშიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-IV, ზესტაფონში, მოლოტოვის, 22.

პროკოფი, პართენ, ნადია და კალისტრატე ქემოკლიძეები ოჯახებით იუწყებიან რძლის **ლუბა გერმანეს ასულ ქემოკლიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-IV, 6 ს. მეორე საპროექტო, 12.

დ. თევზაძე, ს. ხეჩინაშვილი, გ. ბეგიშვილი, ნ. გვეტაძე, ვ. ხუციძე, ტ. ცორდანია, ნ. ბერელიძე, ჯ. რამინიშვილი, ქ. ბარაბაძე, ჯ. სანაძე, ნ. ჩიხლაძე, ე. ებრალიძე თანაგრძნობას უცხადებენ გ. ნაცვლიშვილს მისი მამის **ზაქარია იოველის-ძე ნაცვლიშვილის** გარდაცვალების გამო.

[illegible]